დანართი V

პროექტის განხორციელება; ფინანსური საკითხები

<u>პროექტის განმახორციელებელი სააგენტო</u>

1. პროექტის განმახორციელებელი სააგენტო არის მუნიციპალური განვითარების ფონდი, რომელიც პასუხისმგებელია პროექტის განხორციელებაზე.

<u>ქვეპროექტის შერჩევა</u>

2. სესხის ამღებმა უნდა უზრუნველყოს, რომ სესხის სახსრებით დაფინანსებული თითოეული ქვეპროექტი აკმაყოფილებდეს საპროექტო ხელშეკრულების დანართში წარმოდგენილ კრიტერიუმებს.

3. წინამდებარე დოკუმენტში მოცემული ნებისმიერი საწინააღმდეგო შინაარსის დებულებების მიუხედავად, სესხის ამღებმა უნდა უზრუნველყოს, რომ:

   (1) მუნიციპალური განვითარების ფონდმა სესხის სახსრების ნაწილი, რომლის ოდენობა უნდა შეადგენდეს მინიმუმ SDR 11,137,000 ეკვივალენტს გამოიყენოს მოთხოვნების შესაბამისი მუნიციპალური მთავრობებისთვის ნებადართული ქვეპროექტების დასაფინანსებლად, რომლებიც ქვესესხებისა და გრანტების იმგავრი კომბინაციის ფორმით და იმ ვადების და პირობების საფუძველზე, რომლებიც დამაკმაყოფილებელი იქნება აზიის განვითარების ბანკისათვის („ მექანიზმი 1“)

   (2) მუნიციპალური განვითარების ფონდმა სესხის სახსრების ნაწილი, რომლის ოდენობა უნდა შეადგენდეს მინიმუმ SDR 5,665,000 ეკვივალენტს გამოიყენოს მოთხოვნების შესაბამისი მუნიციპალური მთავრობებისთვის ნებადართული ქვეპროექტების გრანტის ფორმით დასაფინანსებლად იმ ვადების და პირობების საფუძველზე, რომლებიც დამაკმაყოფილებელი იქნება აზიის განვითარების ბანკისათვის („ მექანიზმი 2“)

<u>გარემოს დაცვა და სოციალური ასპექტები</u>

4. სესხის ამღებმა უნდა უზრუნველყოს მუნიციპალური განვითარების ფონდის საშუალებით, რომ პროექტი განხორციელდეს სესხის ამღების შესაბამისი გარემოსდაცვითი კანონებისა და დებულებების და აზიის განვითარების ბანკის *„გარემოსდაცვითი პოლიტიკის“* (2002) შესაბამისად და თითოეული ქვეპროექტი შემოწმდეს და/ან შეფასდეს შეთანხმებული EARF-ის შესაბამისად. სესხის ამღებმა ასევე უნდა უზრუნველყოს მუნიციპალური განვითარების ფონდის საშუალებით, რომ ყველა ქვეპროექტი განხორციელდეს არსებული გასხვისების ზოლების ფარგლებში მიწის შეძენის და/ან გადასახლების აუცილებლობის გარეშე, რომელიც გამოიწვევს აზიის განვითარების ბანკის *„არანებაყოფლობითი გასახლების პოლიტიკის“* (1995) ამოქმედებას. სესხის ამღებმა უნდა მიიღოს ზომები იმისათვის, რომ MDF-მა უზრუნველყოს ქვეპროექტების განხორციელება მოსალოდნელი სოციალური რისკების გარეშე.

<u>პროექტის განხილვა</u>

5. პროექტის განხორციელების პირველი ორი (2) წლის განმავლობაში სესხის ამღებმა, მუნიციპალური განვითარების ფონდმა და აზიის განვითარების ბანკმა პროექტის განხილვა უნდა ჩაატრონ წელიწადში ორჯერ, ხოლო შემდეგ – წელიწადში ერთხელ. შუალედური განხილვა ჩატარდება პროექტის განხორციელების დაწყებიდან ორი (2) წლის შემდეგ. შუალედური განხილვა მოიცავს პროექტის საქმიანობის, განხორციელების ღონისძიებების, დაგეგმილი მიზნების მიღწევის პროგრესის და სესხის პირობებთან შესაბამისობის დეტალურ შეფასებას.